




— შენ კიდევ დასაწყვეზიდან გაპარო?
— აბა, კაცო! ისე მოგვიძირას ხელი, ზემოთ პერაზრით ამოვიწიეთ!



— არ გაუმხილოთ, რომ დანაკლისი აქვთ, თორემ გადაწვანენ ყველაშვრს!

ქუსლებს იმაღლებ, ეროვნული
დედამიწას
ელივს ეხები!..
თქვი:
რად მონათლე „პლატფორმებად“
ოჩოფხები?

გაუანკალი

მე კოლეგა კრიტიკოსი მყავს,
ზემი ჩრდილის მაგივრობას
გაწევს,
ცხვირიც რომ დამაცემინოს,
რეცენზიას დაწერს.

ზაპარია შერაზადაშვილი

მე გადახრილა, მაგრამ მაინც სასტიკად ცხელა. სამასწლიანი მუხის ჩრდილში, სახელდახლოდ გამოთლილი კაკლის ტრიბუნაზე, კავკასიური ჯიხვივით შემდგარა წაბლისფერითიანი ვაჟკაცი, ორმოცდაათ წელს მიკაკუნებული მოხეტიალე ლექტორი შაქრო დაღაღდე. ბეჭებზე ნაბადივით მოუგდია ლურჯი, ფართხუნა მაკენტოში, კოჭებამდე რომ წვდებოდა. ვეებერთელა ყვითელ პორტფელში ხელს ნერვულად აფათურებს... იგი დღეს საკოლმეურნეო მინდვრებზე მოგროვილ და ამჭერად ქ თავშეყრილ სოფლის მშრომელებს საზღვარგარეთულ ლიტერატურაზე უნდა ელაპარაკოს. თემა რთული და მრავლის მომცველია, ამიტომ ლექტორი ცდილობს, არსებითზე გაამახვილოს მსმენელთა ყურადღება.

— ახლოს მოიწით, მეგობრებო! რაღაც ვერ ვართ ერთმანეთთან შინაურულად! — წუხს ლექტორი.

— არა უშავს, აქედანაც კარგად გავიგონებთ, პატივცემულო! — ამშვიდებს ბრტყელ ლოდზე გადამჯდარი ახალგაზრდა, ჭილის ქუდი რომ ჩამოუფხატავს.

— ძალას ვერ დაგატანთ! დავიწყეთ, აბა! გასული შეხვედრა ბალზაკით დავამთავრეთ, ამ ბუმბერაზი რომანის-ტით, რომელიც პირად ცხოვრებაში არ იყო მაინცდამაინც ბედნიერი, სამაგიეროდ, მწერლობაში გაუმართლა.

— გვახსოვს, პატივცემულო! გადადით შემდეგ საკითხზე! — შეუძანეს აქეთ-იქიდან.

— ნამეტანი კარგი, თუ გახსოვთ. ახლა სხვა მწერლებსაც მივხედოთ: ანატოლ ფრანსი. ფრანსი ანატოლი, მწერალი-აკადემიკოსი. დიდად განათლებული კაცი იყო, გაანათლოს მისი სული. ბუკინისტის დახლთან დაიბადა და იქავეს მოკვდა, ასეა ცნობილი. მაგაზე, მოგეხსენებათ, დისერტაცია დავიცავი და შეკმული მაქვს ეს თემა. ახლა ადარ შეგაწყენთ თავს. თავისი ნაწერებით ლახვარი ჩასცა ბურჟუაზიას. პირად ცხოვრებაში დიდი ოხუნჯი ყოფილა.



(შეამოკლებული სტენოგრაფია)

ცხოვნებული. აუარება ნოველები და რომანები დავიცოვო: „ანგელოზების აჯანყება“, „ღმერთებს წყურიათ“, „პინგვინების კუნძული“ და, რა ვიცი, რამდენი რაო. რომ დაცლოდა, ალბათ, კიდევ ბევრი ნაწარმოებით გაგახარებდა, მაგრამ ეს მუხთალი წუთისოფელი როდის დაგიდებს კვანტს, ვინ გაიგებს...

— სწორი ბრძანებაა, ჩემო ბატონო! — ემოწმება ყაბალახიანი მოხუცი და ჩიბუხს მუხლზე იბერტყავს.

— გთხოვთ წარმოიდგინოთ პარიზი, მონპარნასის ბულვარდი, — ყელს იღერებს დაღაღდე, — ახალი შეღამებულობა, აქოჩრილი სენა ტკბილად მოლულუნებს. გადაწევთ ბუჩქს — ქალი და კაცი: გადმოწევთ — ისევ ქალი და კაცი, ჩახუტებული, რა თქმა უნდა. ესაა, თქვენ ხართ ჩემი ბატონი, მთელი მოპასანი. თუ არ გჯერათ, წაიკითხეთ!

— გვჯერა, ბატონო, წაგვიკითხავს...

— ანრი ბარბიუსი რომ ჩამოვიდა საქართველოში, ეს თუ მაქვს თქვენთვის მონაყოლი.

— არა, პატივცემულო...

— იმ დროს ბავშვი ვიყავი. თუმცა ყველაფერი კარგად მახსოვს. ჩაი და მანდარინი არ გავკვირვებია, მაგრამ გურულმა ხაჭაპურებმა გადარია კაცი. „ამისთანა არაფერი მიჭამიაო“, იძახდა. — ეკალაზე რა აზრის იყო, თუ გახ-

სოვთ? — თითი ასწია იმ ახალგაზრდამ, ჭილის ქუდს რომ იჩრდილებდა.

— მე სამასხაროდ არ მცალია, ამხანაგო, სერიოზულ საკითხზე ვლაპარაკობ! ვისაც არ აინტერესებს, შეუძლია დავგვტოვოს! რასაც მე გიყვებით, იცოდეთ, ვერც ერთ წიგნში ვერ წაიკითხავთ!..

— მაგაში მართალი ხართ! — ეთანხმება ჭილისქუდიანი.

— ჰოდა, ასე. ჰემინგუეზე გადავდივარ. რომანებზე ლაპარაკით აღარ დაგვლით. მე უფრო ბოლო პერიოდი მაინტერესებს — „მოხუცი და ზღვა“. ჰო, რა ნოველა! მარტო ის ადგილი რად ღირს, სანტიაგო თევზს რომ მოათრევს და აკულები უჭამენ. ამაზე კინოც იყო გადაღებული. მთავარია, ნაწარმოებიდან აზრი გამოიტანო, თორემ მარტო წაიკითხვას რა ჭკუა აქვს?! ხომ შეეძლო ჰემინგუეის გვეშვებინებინა ის თევზი, მაგრამ არ გააშვებინა! ამაშია მწერლის გენიოსობა. ხომ გამიგეთ, რისი თქმაც მინდოდა?!

— რას ბრძანებთ, ბატონო, ყველაფერი გასაგებია!

— გმადლობთ ყურადღებისათვის! — დაღაღდე საათს დასცქერის, — სხვა დროს უფრო დინჯად მოვისაუბრებთ!

— დარჩით ამ საღამოს, დავაფასეთ! — ეპატიუება ლექტორს ხანში შესული, დარბაისელი მოხუცი, — ნამგზავრი ხართ ამხელა გზაზე, მოგასვენებთ!

— აპაპა! — ტკაცუნით კეტავს თავის უზარმაზარ, ყვითელ პორტფელს დაღაღდე, — პირველ მატარებელს უნდა გავყვე, ერთი ლექცია კიდევ მაქვს მოსამზადებელი, იქეთა კვირას კახეთისკენ უნდა გავემგზავრო!..

— აბა, თქვენ იცით, არ დავგივიწყეთ! — ბეჭებზე ხელს უთათუნებენ დამაშვრალ ლექტორს ნასიამოვნები მსმენელები და სადგურისკენ ღიღინით მიაცილებენ.

არველოდი წინფავა

გუყავსო ჩივილი

ძოდან ჩავდი ქალაქი
ცოლ-შვილის ტალავრისადა,
ერბო-ყველ რაიმ წავიდა
იქ მცხოვრებ ჩემის ძმისადა.

მატულიც წავიტან ცოტაი,
ჩვერით უნახავ რძლისადა.
ბევრა ვიარე, ვეძებე,
სახლს მივაგენი ძლივ სადა..

გულიან ამავისუნთქე,
დავაკაუნე კარები;
მასპინძლის მალოდინია
ჩრდილშიაგ შავფარები!

გულჩი ვფიქრობდი ძმისადა:
„თუ უჭირს, დავეხმარები,
საქონს გავხუციდი, რა მახდა?
არც იმას დავეზარები!“

ძმის დანახვაზე მეტადა,
რძლის გაცნობასა ვჩქარობდი.
არც დადლილობას ვჩიოდი,
არც ფეხზე დგომას ვზარობდი.

კარი გაიღა, გამაჩნდა
დიაც „გაკრასკული“ ყოლადა.
ჩემს ძმას რას გავიმეტებდი
იმასთან დგომა-წოლადა?!

მეგონა მაგრად ნაცემი,
თვალის გუგებ უჩნდ ლურჯადა.
კაც, იმის შამხედვარე,
შავშინდი, ვიქცე მუნჯადა.

ტუჩებ შადებოლ წითლადა,
წარბებ-წამწამებ — შავადა,
თმა — გაწეწილი ქაჩივით,
ეშმაკსაც ღვადა თავადა.

მეგონა მაჩვენებდი,
გული გამიხდა ავადა.
მესიზმრებდას, — ვიფიქრე, —
ჩადოი სანახავადა.

ბუმბულზე რასამ გაერქვა.
ოფოფასავით, თავზედა.
შამრცხვა და თვალს მაგარიდე
იმის შიშველა ტანზედა.

ხის ქოშებ რაიმ დასთრევდა.
ვერც ერეოდა კარგადა,
ფეხის ფრჩხილებზეც „კრასკაი“
უველგან წავსვა ქარბადა.

ნიწაწედ ნაწოლ მენახა,
ალბათ, ჩავთვლიდი ზღაბადა.
ვიფიქრე: „ესერთ ჯადოი
ნეტავ, რა ქაქმა დადბადა?“

შამხედა, შუბლ შაიკმუნხა,
კიდევ შამხედა ტანზედა,
ალბათ, მათხოვარ ვეგონე,
ან თუ შაშლილი ჭკვაზედა...

მალე ვანოც გამაჩნდა,
შაკრთა ჩემ დანახვაზედა.
იმ ქაქთან შარცხვა ბეჩადა,
ძველებ რო მეცვა ტანზედა.

გადავხვიე, ჩავკოცნე:
„რა ხელ ხარ, ჩემო ვანო?
მასულიყავი ჩემ სახლი,
დიაციც მაგეყვანაო!“

იმ ქაქმ დაიწყო ყვირილი,
არ ვი, რა დაეზმანაო.
ვანოს უთხრა: „სახლი არ გნახავ,
თუ პირს აქ დაიბანაო.“

საწყალი ჩემ ძმა ვანო
ნაცემ ძაღლს დაემგვანაო,
ბაღლივით შაშინებულმა
სიტყვის თქმაც დაახანაო.

შამრედ მანიშნა იმ ქაქედ:
„ეგი შენ რძალი დნახეო,
ჩემი სიცოცხლის ხატება,
მთვარეს რო უგავ სახეო.“

შავშინდი, ჩემთვის ვიფიქრე:
„ეს რა შაურთავ ვანოსა?
ერთი რო ღმერთი გაუწყრეს,
სოფელშიც მაიყვანოსა?“

უველას დაფრთხობს დანახვით,
გულზეს დაუხეთქს პატარებს,
ვანოს სადალ დარჩ თვალეში,
სახლთ რო მთვარეს ადარებს?“

სადალ გამაჩნდა ხალხია
ხო ბევრა ითქმის აუგი?
უჭკოა თუ ჭკვიანი,
მოდო და ჩემ ძმას გაუგი?!

შალვა ჟოლიბაური

ნ.ბ. ზ. ფირცხალაშვილი



შემქმნელ

ტ. 76

ჩეჩილეზი საზრანგეთიდან

ყველაფერი დაიწყო იმით, რომ ჩემი ცოლი
საფრანგეთში გაემგზავრა ტურისტული საგზუ-
რით.

„მონ შერი! — იწყებოდა მისი პირველი
წერილი, უკვე ორი ღღეა, რაც პარიზში ვიმ-
ყოფებით, მაგრამ ისეთი შთაბეჭდილება მრჩე-
ბა, რომ ორი კვირა კი არა, მთელი ერთი წე-
ლიწადი არ მეყოფა ბრწყინვალე მალაზიებისა
და უნივერსიტეტების დასათვალისწინებლად. ჩემ-
ზე განსაკუთრებული ეფექტი მოახდინა კოს-
მეტოლოგია სალონმა „ელეზარმა“, რომელიც
მიგ ეიფელის კოშკშია მოთავსებული; შესა-
ნიშნავია „მადამ დე შანელი“ — ტრიუმფა-
ლური თაღის უკან, აღფრთხილებს ქუჩაზე;
გადასარეგია „მაგაზენ დე რობე“-ი ელისეის
მინდვრებზე.

ამ საღამოს უნდა ვეწვიოთ „მაგაზენ დე
შმიხს“, რომელიც ნოტრდამიდან ას ნაბიჯზე
მდებარეობს. ასე რომ, მონ გარსონ, ამით
გამთავრებ წერილს, გკოცნი ბევრს. ორევეურ.
შენი მადლენ.“

ერთი კვირის შემდეგ ფოსტალიონმა მეორე
წერილი მომიტანა. კონვერტში ჩემი ცოლის
ფოტოსურათი იდო. იდგა იგი სენის სანაპი-
როზე, ბუკინისტური ფარდულის გვერდით,
ელეგანტურ პალტოში გამოწყობილი და მოწ-
ყალედ ილიმებოდა: მირე მატეის თმის ვარც-
ხნილობა, ბრიჯიტ ბარდოს ექსტრასუპერგრან-

დიამაყული გამოხედვა და ენა მოროს სინარ-
ნარე. მოვლედ მე კი არა, თვით ალენ დელო-
ნიც ვერ მოაცილებდა თვალს ჩემს მადლენას.

წერილი იწყებოდა დამტვრეული ქართუ-
ლით:

„ბონჟურ მონ ამი! აი, ეზივარ და ვფიქრობ
რა მოგწერო. „ლა გალერი დე პარფუმერი“-
სორბონის პირდაპირ რომაა, ვნახე: „ლა ფლა-
კონ დე ლა ფამ“-ი წუხელ მოვინახულე —
კონკორდის მოედანზე, „ლე ფრანსეზ“, „ლა
„რევიუ დე მუშუალ“ და „ლე ზიფელა ფამ“-
გიდმა დავავთვალე რებინა, ლუვრის შემოგა-
რენში. ერთადერთი რაზეც ჩემი გული... (უ-
დალ არის, ისაა, რომ დრო სულ არა მაქვს
პარიზის ღირსესანიშნაობების სანახავად, მაგ-
რამ არა უშავს, ჩამოვალ სახლში და ტელევი-
ზორში არც ერთ გადაცემას არ გამოვტოვებ
საფრანგეთზე. ეუალა ტუ. ეე ფინი მონ ლეტლ.
ა ბიენტო მონ ამულ.“

ტონ მადლენ“

ყველაფერი დამთავრდა იმით, რომ ტურის-
ტული მოგზაურობის დრო აპირებოდა და ჩემი
ცოლი საფრანგეთიდან სახლში დაბრუნდა.

მალხაზ ცოტაძე

უარი

(მინიფანტასტიკა)

ბატონ კირილეს დაწინაურება
მოინდომეს ისეთი ადგილი შეს-
თავაზეს, ენით სანატრელი იყო.
თვითონაც გულით ეწადა ცოდვა
გამოღებულ სჯობს, პირველად
დათანხმდა ახალ თანამდებობაზე
გადასვლას, მაგრამ მერე დფიქრა:
— არა, ჩემი მოაღილე ჩემზე
უფრო ახალგაზრდაა, ძალზე ნი-
ჭიერია, პერსპექტიულია... მე რომ
სინდისი მქონოდა, აქამდეც უნდა
დამეთმო მისთვის ჩემი ადგილი
და მე მის თანამდებობაზე გადავ-
სულიყავი!

ბატონმა კირილემ ყველაფერი
იღონა, თავისი თავი ქიანქველად
გამოიყვანა, მოადგილე — ბრძენ
სპილოდ და საწადელს მაინც მია-
ღწია: შეთავაზებულ სკამზე თავი
სი მოადგილე დასვა.

ენაგანი

ბატონი კირილე მლიქვნელებს
ვერ იტანს. ერთხელ ერთ-ერთი
თანამშრომელი რალაციისთვის გა-
კიცხა. იმანაც, კაბინეტიდან რომ
გავიდა, შეუკურთხა. მეორე თა-
ნამშრომელმა ყური მოჰკრა და
მაშინვე ბატონ კირილეს ენა მიუ-
ტანა: „მაგ უსინდისო, ეგ როგორ
იკადრაო!“ „უსინდისო ეგ კი არ
არის, შენა ხარო!“ — უთხრა ბა-
ტონმა კირილემ. — „კაცი გავკი-
ცხე, მერე მიხვდება, რომ სწო-
რად მოვექეცი, ახლა კი რა მოხ-
და, თუ ცხელ გულზე შემაგინაო!
შენ კი როგორ არ გრცხვენია, ენა
რომ მოგაქვსო!“

გივი კაკანაძე

საქსაყრდენი მაზნა

ქართული
ლიტერატურა

დირექტორის კაბინეტში ადგილკომის თავმჯდომარე შემოჰყო თავი.

— შეიძლება? — იკითხა თავმა.

დირექტორმა თავაულებლივ დაუქნია თავი. ადგილკომის თავმჯდომარე საწერ მაგიდასთან შეჩერდა, ილღიაში ამოჩრილი საქაღალდე მაგიდაზე დადო და ორივე ხელი გადაშალა.

დირექტორმა თავი მალა ასწია და ნაბახუსევი თვალები ხბოსავით მიამტერა ხელქვეითს.

— რომელ გაზეთს გამოიწერო, პროკოლინ? — თავაზიანად გადაიხარა ადგილკომის თავმჯდომარე და დირექტორს გაზეთების სია დაუღო წინ.

დირექტორმა წითელი ფანქარი მოიმარჯვა და რამდენიმე გაზეთს პლუსები დაუსვა.

— სხვა გაზეთები არ გნებავთ?

— ჩემი მისამართი ხომ არ დაგავიწყდა? კითხვაზე კითხვითვე უპასუხა დირექტორმა და სია უკან გადააწოლა.

თავმჯდომარემ მრავალმნიშვნელოვნად გალიშა, აუღენცია დასრულებულად ჩათვალა და კაბინეტის კარები ფრთხილად გაიხურა.

— შეიძლება, შალვოვიჩ? — იკითხა ადგილკომის თავმჯდომარემ და პასუხს არ დალოდებია, ისე შეაბიჯა მესამე მოადგილის კაბინეტში.

— რაშია საქმე?! ვერ ხედავ, მოხსენებ რომ ვწერ? — წაიბურტყუნა შალვას ძემ.

— თქვენზე დავალებას ვასრულებ, შალვოვიჩ! — გაიჭიმა ადგილკომის თავმჯდომარე და გაზეთების სია გაუწოდა მესამე მოადგილეს.

— რად მინდა ეგ სია?! მე არ შევადგინე წელან?

— აღნიშნეთ, რომელ გაზეთს გამოიწერო!

— იმ გაზეთებს, რაც დირექტორმა გამოიწერა, „ლელოც“ მიუმატე! — უთხრა მესამე მოადგილემ და წერა განაგრძო.

თავმჯდომარეს სია ხელში შეაცივდა.

— ჩემი მისამართი არ შეგეშალოს! — მიძახა კარებთან მისულ ადგილკომის თავმჯდომარეს.

თქვენს რომელი გაზეთი გამოიწეროთ. მანანა? — ოთახში შესვლისთანავე მიძართა ადგილკომის თავმჯდომარემ ახალგაზრდა ქალს. რომლის კარებზეც ნაბეჭდი ასოებით ეწერა „მთავარი ბუღალტერი“.

— ჩვენს ოჯახში მამაკაცები რაერნ გაზეთებს! რა აუცილებელია, მეც გამოვიწერო?

— ამ ღონისძიებას ნუ ჩამოგდებ! — დაელრიჯა ადგილკომის თავმჯდომარე და სია გაუწოდა.



ძახხამ სია ისე გულმოდგინედ გაიკეთა, თითქმის მოღების ეურნალს სინჯავსო.

— ყველა იმ გაზეთს, რაც შალვოვიჩმა გამოიწერა, „ლიტერატურული საქართველოც“ მიუმატე!

— მისამართი ხომ იგივეა? — ორაზროვნად იკითხა ადგილკომის თავმჯდომარემ.

— ჭერჭერობით, საბაბი არა მაქვს, მისამართი გამოვიცვლო! ნამეტანი ტკილად ვცხოვრობთ მთელი ოჯახი!

რომელ გაზეთს გამოიწერა, ჯუმბერ? ჯიქურ მიძართა საწყობის გამგეს ადგილკომის თავმჯდომარემ.

— „ფუტბოლ-პოკი“. ო, კეი! — ხელი აუწია ჯუმბერმა და საწყობის სიღრმეში გაუჩინარდა.

— ისევ მამაშენთან ცხოვრობ, ხომ? — დააღვენა კითხვა თავმჯდომარემ და პასუხს არ დაუცადა, ისე გამოვიდა გარეთ.

— თქვენდა დამრჩით უგაზეთოდ, აგრადინა დაეიდოვნა! — თავაზიანად მიძართა ადგილკომის თავმჯდომარემ ქალარათმთან ბიბლიოთეკარს და ხელზე მოწიწებით ემთხვია.

აგრადინა დავითის ასულმა დედოფლის მოძრაობით ჩამოართვა სია, ზანტად გადაავლო თელი და უკან დაუბრუნა.

— „თბილისი“, გეთაყვა, „თბილისი“ მიუმატე ამ სიას!

სხუთი წუთის შემდეგ ადგილკომის თავმჯდომარე თავის ოთახში იჯდა. თანამშრომლები ია, გაზეთების დასახელებითა და მისამართებით, ცალკე გადაწერა, ოღონდ დირექტორის მესამე მოადგილის, მთავარი ბუღალტრის, საწყობის გამგისა და ბიბლიოთეკარის გვარებს კრთი საერთო მისამართი მიაწერა გაკრული თელით.

სალამობით ამ მისამართზე სხედან ხოლმე სახლში, ბუხართან, მამა — ოჯახის უფროსი, თედა — დისახლისი, უფროსი ვაჟი, რძალი, უმცროსი ვაჟი და ყველა თავის გამოწერილ გაზეთს კითხულობს.

— ამ ოჯახში ყველაფერი ჩემი გასაკეთებელია! — წაიბურტყუნა ოჯახის უფროსმა, გაზეთის კითხვას თავი დაანება და სათვალის ზემოდან გადმოხედა ოჯახის წევრებს, რატომ არ გამოიწერეთ „ეკრანი“?

გიგლა ფირცხალავა



კაცის კაცი

ბევრი ითქვა, დაიწერა ცილისმწამებლებზე, გაიძვერა თაღლითებზე, კარიერისტებზე...

მაგრამ მაინც გვაქვს სათქმელი კაცის კაცუნებზე — ამ „უწყინარ“ და უჩივარ ქამელეონებზე.

ნუთუ, სადმე არ გსმენიათ მათი ქებათქება? ასე სწრაფად დაგავიწყდათ ტამგრილა კრება?

მათ იცინა ჩასაფრება, მოქნილი ფანდები, როგორ აამონ მფარველებს და გახსნან კვანძები...

ორჭოფია უხერხემლო კაცის კაცუნია, იცის თავის უმცროსებზე თითის ტკაცუნია.

პირში თქმა მას არ სჩვევია, მოქმედებს ფარულად: ის შენს სამტროდ ბადეს დაწნავს, დაგარტყამს მზაკერულად.

უპრინციპო, ცრუპენტელა, ხშირად მშრალზე გადის, ნელა-ნელა, მაგრამ ამ გზით მალა კიბეს ადის.

უნდა ჰგავდეს ჩემი ბინა დიდ სასახლეს მზიანს, ღარბაზიანს, გალაგნიანს და ოთხ კარ-ფანჯრიანს!

განა მუშას, ან მშრომელ გლეხს, არ გვეკუთვნის არსად, ჩვენც ვიცხოვროთ ფუფუნებით, თავადების მსგავსად?

დიდაცებთან სახლშიც დადის დიდი კაცის კაცი, ზოგს უთქმელადაც აშინებს ჩია ქონდრისკაცი.

ზოგ კაცის კაცს ღვინოც უყვარს, სუფრების გამართვა, ქეიფობა, ღრიანცელი, მუშტების ამართვა.

დაპატიჟებს მხოლოდ იმათ, ვინც სჭირდება: ხვალე, როცა საქმეს მოაგვარებს, წიხლს ამოჰკრავს მალე.

იდეების ნაცვლად უყვართ სასუე ჯიბეები, სანადიროდაც დაჰჭრიან, იზიდავთ ჯიხვები.

უფროსებს თუ კვერს უკრავენ და ტუქსაჟირ ტოლებს, თქროთი და ბრილიანტით მოსავენ თვის ცოლებს.


როცა სხვის საქმეს ამოწმებს, ტეხს განგაშს და წრიალს, ცნობებს, ფაქტებს განზრახ ბერავს, მორთავს წმუტუნს, ღრიალს.

კუდაბზიკას, მელაკუდას კაცის კაცს ვუწოდებთ, ძეფის წყალობით დამძრება, ბრალს იმიტომა ვდებთ.

ჩვენ არ გვინდა ბატონკაცა, არცა კაცის კაცი, ჩვენ გვჭირდება გულმართალი, კაცური ვაჟკაცი.

სამწუხაროდ, ჯერ არიან კაცის კაცი ბევრგან, ნუ დავინდობთ, შეგებრძოლოთ! — ამას ვითხოვ თქვენგან!

ლახატო ლახტაური



* * *

* * *

* * *

* * *

* * *

* * *

ჟანი სიხარულმე

၂၁၂၆၈၈



МЕХАНИЧЕСКАЯ
РАСТЯЖКА ОБУВИ
РЕМОНТ
НА КОДУ

თამაზ ჰეიზვილი

- შვილს ვეძებ.
- გადი აგერ „ლაღიმის“ წყლებ-
თან და იმ ნახავ!

ნახატი თემების ავტორები: მ. აბაშიძე, ა. აღიშვილი, ბ. დლობიძე, ლ. მარათაშვილი, ე. მუჟაფიძე, ნ. მგებლიშვილი, ა. საბუნიძე, თ. სიხარულიძე

[illegible]

მთავარი რედაქტორი
ფურდან გეგაშვილი

პენტაგონი უთითებს შეერთებული შტატების საზოგადოებრიობას მითითურ, ეგრეთ წოდებულ „საბჭოთა საფრთხეზე“, რათა მიიღწიოს ამერიკის ისტორიაში სამხედრო ბიუჯეტის გაუგონარ ზრდას.



— სად არის საბჭოთა საფრთხე?
— დაუშაბე კიდეც რამდენიმე ბოგარა და დაინახავ!

შეერთებულ შტატებში პენტაგონი ითვლება ყველაზე მსხვილ მიწათმფლობელად: მის განკარგულებაშია ამერიკის მთელი ტერიტორიის 1,1%, ანუ 25,6 მილიონი აკრი მიწა.



სილგომგებულის ალება პენტაგონში

მათ სამყაროში

საზრიანი ქალაქისთავი

ბავარიის ერთი პატარა ქალაქის ბურგომისტრმა, ერთ მშვენიერ დღეს უცებ შეიტყო, რომ გფრ-ის დემოკრატიული მატება სულ რაღაც ერთ პროცენტს შეადგენს და ეს ყველაზე მცირეა მსოფლიოში, შეშფოთებულმა ბურგომისტრმა მაშინვე კარდინალური ზომები მიიღო — გამოსცა ბრძანება, რომ ქალაქის ორგანოებმა რეგისტრაციაში გაატარონ ქორწინება მხოლოდ იმ წყვილთა, რომელნიც ვალდებულიყვნენ იკისრებენ (ხელწერილითა და ბეჭდის დახმარებით) და რეგისტრაციიდან ორი წლის ვადაში ბავშვს გააჩენენ. დრო, როგორც ქალაქის ძველი მკვიდრნი აღნიშნავენ, საკმარისზე მეტია. ბურგომისტრი კი თავიანი კაცია!

„ინტერნეშნლ პერალ ტრიბუნ“

ავტომობილი და მორალი

ამერიკელ ტელემაჟურებლებს ერთობ თავსატეხი კითხვა დაუსვეს: „როგორ მოქმედებს საავტომობილო მრეწველობა ქვეყნის მორალურ მხარეზე?“ მთავარი პრიზი მიენიჭა ასეთ პასუხს: „მოტორიზაციის ზრდამ მკვეთრად შეამცირა ცხენის ქურდობა“.

ალამიანი სარკეში

ფრანკფურტის ზოოპარკში, დირექტორის განკარგულებით, დადგეს სარკე, რომელსაც ასეთი წარწერა ამშვენებს: „თქვენ ახლა ხედავთ ყველაზე მავნე და საზიანო ქმნილებას. მხოლოდ ეს ერთადერთი არსებაა მთელ მსოფლიოში, რომელიც გამუდმებით სპობს უოველივე ცოცხალს, რაც ბუნებას გაუჩენია, — იქნება ეს ცხოველი თუ მცენარე“.

საბერძნეთის დემოკრატიული საზოგადოებრიობა ილაშქრებს საბერძნეთ-ამერიკის სამხედრო თანამშრომლობის ასალი შეთანხმების წინააღმდეგ.

ისეთ პირობებში, როდესაც მსოფლიოს ხალხები იბრძვიან დაძაბულობის განულებისათვის, — აღნიშნავს საბერძნეთის კოპარტის ცენტრალური კომიტეტის ორგანო გაზეთი „რიზოსპასტისი“, — ეს შეთანხმება მოწმობს იმას, რომ გარკვეული რეაქციული წრეები ცდილობენ დააბრუნონ „ცივი ომი“.



ახალი არქეოლოგები საბერძნეთში